



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-31.31221453

თარიღი:25/05/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №17

2022 წლის 25 მაისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-მუხლის მე-2 ნაწილისა და ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინება, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

